

“რაც არ უნდა ვმალოთ ჭირი, იგი თავს მაინც არ დამალავს“

გაზეთი “ეკონომიკური პალიტრა”, 22-28 ოქტომბერი, № 001, 2007

ყველასთვის ნათელია ის ფაქტი, რომ პირველადი მოხმარების საგნებზე ფასებმა განსაკუთრებით მოიმატა. რამ განაპირობა ასეთი უცაბედი ფასების ზრდა? აქ გასათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. საქონელზე ფასების ზრდის ტენდენცია მთელს საერთაშორისო ბაზარზეა დაფიქსირებული. ასევე მთელს მსოფლიოში ნავთობზე ფასი მატულობს. ამას ვერ გავაქცევით. ისიც აშკარაა, რომ რუსეთმა გაზის ტარიფი გაგვიზარდა. ტარიფის გაზრდა კიდევ 50%-ითაა მოსალოდნელი. რაც შეეხება ისეთ პროდუქტს, როგორიცაა ხორბალი, მასზე ფასი მსოფლიოში იზრდება. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორბალზე მოთხოვნა ჩინეთსა და ინდოეთში. ამ პროდუქტებზე ფასის ზრდა ახსნადია, მაგრამ ცუდია როდესაც ინფლაციაზე საუბრისას მხოლოდ ამ პროდუქტებით შემოვიფარგლებით. როცა საქართველოში სხვა პროდუქტებზე კატასტროფულად იზრდება ფასი, როგორც წესი, ეს არის მთავრობის საქმიანობის შედეგი. იგი აქცენტს აკეთებს მხოლოდ იმაზე, თუ რატომ გაძვირდა საწვავი, ხორბალი, გაზი და ამაში ის არის მართალი. აქ სვამს წერტილს და არ გვცემს პასუხს, თუ რატომ გაძვირდა მედიკამენტი, ზეთი, ნებისმიერი სამომხმარებლო პროდუქტი. ამის მიზეზი არ არის საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდა, ამის მიზეზი საქართველოშია. მე შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო დაავადებულია პოლანდიური დაავადებებით, რაც ნიშნავს იმას, რომ შემოდის დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა, რომლის მიზეზი სხვადასხვა რამეა: პრივატიზაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფინანსური წესრიგის დამყარება. ამან გაზარდა ქართულ ლარზე მოთხოვნილება, ლარზე მოთხოვნამ კი მისი გამყარება გამოიწვია. იმისთვის, რომ ლარი ზომაზე მეტად არ გამყარდეს, ეროვნული ბანკი ყიდულობს უცხოურ ვალუტას, რითაც ერთ კარგ საქმეს აკეთებს – ზრდის სავალუტო რეზერვს. მაგრამ ლარის გაძვირება ინფლაციის ზრდასაც იწვევს, ის ხომ ლარს ყიდის და ამით უცხოურ ვალუტას ყიდულობს. იმისთვის, რომ ინფლაცია არ გაიზარდოს, პირველ რიგში საჭიროა ეროვნულ ბანკს გვერდში დაუდგეს მთავრობა. მათ უნდა მოახდინონ დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროფიციტურ ბიუჯეტზე გადასვლა. სამწუხაროდ, ამას მთავრობა არ აკეთებს. იგი აგრძელებს დეფიციტური

ბიუჯეტის პირობებში მუშაობას, პრივატიზაციით მიღებული თანხის ხარჯვას. რა თქმა უნდა, არავინ დაობს, რომ გზების დაგება აუცილებელია ქვეყანაში, რათა ეკონომიკა განვითარდეს, მაგრამ კარგი გზების სიკეთე კი 2-3 წელში გამოჩნდება, ამიტომ მოკლე ვადებში მიმდინარე ხარჯების თვალსაზრისით გზის მშენებლობაზე გაწეული ხარჯები არის ინფლაციის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი.

ეკონომიკური აღმავლობა არ ნიშნავს ფასების ზრდას. ამას არა მხოლოდ თეორია, არამედ პრაქტიკაც ადასტურებს. ქვეყანა მაშინ აღწევს ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, როცა ინფლაცია არის ზომიერი. კერცერთი ადამიანი ვერ გეტყვით, თუ ზუსტად რამდენია ინფლაცია დღეს, რადგან რეალურად არავინ იკვლევს ამ საკითხს.

შარშან, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტი მოულოდნელად გამოვიდა ხელისუფლების კონტროლიდან და 2006 წლის ზაფხულში დამოუკიდებლად გამოაქვეყნა წლიური 14,5%-იანი ინფლაცია, სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მოხსნეს და ახალი დანიშნეს, სწორედ აქედან დაიწყო ინფლაციის დონის კლებამ. დღეს, რასაც სავალუტო ფონდი თავისი მუდმივი წარმომადგენლის საქციელიდან გამომდინარე აკეთებს, თავისი წაყრუების პოლიტიკით, არის ქვეყნისთვის დათვური სამსახურის გაწევა.

“რაც არ უნდა ვმალოთ ჭირი, იგი თავს მაინც არ დამალავს”.